საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 222 14/12/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში

2015 წლის 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე კომისიამ ჩაატარა სამი სხდომა და განიხილა 6 საკითხი:

1) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N 48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

3) მოქალაქე ი. ქვარცხავას მომართვის შესახებ;

4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ;

5) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N 48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

6) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

პირველ, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხებთან დაკავშირებით კომისიას მიკუთვნებულ უფლებამოსილების ფარგლებში გამოტანილ იქნა და საკრებულოს წარედგინა შესაბამისი დასკვნები;

მეორე საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ საკრებულოს წარუდგინა შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების ნუსხა და ამავე დროს მხარი დაუჭირა მთავარი საფინანსო დოკუმენტის საჯარო განხილვას;

მესამე საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ მიზანშეუწონლად ცნო კატალოგის ბეჭდვის ხარჯების დაფინანსება.

გელა ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია